პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№83 (4077) 28 1970 წ. აპრილი. სამშაბათი. ფასი 3 კაპ.

საქ. სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

## ვისაც ძალა ერჩოდა

დონეცკი, 27 აპრილი. ჭაბუკ „კლასიკოსთა" საკავშირო პირველობამ, რომელიც გუშინ მეშახტეთა ამ ქალაქში დამთავრდა, სპორტის ადგილობრივი გულშემატკივრების დიდი ინტერესი გამოიწვია. ასპარეზობაში ბედი სცადა ყველამ, ვისაც ძალა ერჩოდა და ვინც მოკავშირე რესპუბლიკების, აგრეთვე, მოსკოვისა და ლენინგრადის უძლიერეს ათლეტად ითვლებოდა.

ოთხი დღის მანძილზე ჭიდაობის დონეცკელმა გულშემატკივრებმა ჭეშმარიტი სიამოვნება მიიღეს, და რა გასაკვირია, რომ ისინი გულწრფელად მიესალმნენ სსრ კავშირის ახალ ჩემპიონებს, რომელთა შორის სხვებზე ნაკლებ ღირსეულნი არ იყვნენ ე. მეგრელიშვილი (57 კგ) და შ. მორჩილაძე (მძიმე). მათ თავიანთ წონით კატეგორიებში მართლაც არ ჰყავდათ ბადალი.

## ახალბედებიცა და ვეტერანებიც

ნოვოსიბირსკი, 27 აპრილი. გუშინ აქ თავისუფალ ჭიდაობაში საკავშირო ჩემპიონატის მეორე ნახევრის მონაწილეებს საზეიმო ვითარებაში გადაეცათ ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლების 5-5 დარჩენილი კომპლექტი.

არმიელ გ. მარკელოვსა და დინამოელ გ. დმიტრიევს არასდროს დაავიწყდებათ ციმბირის შესანიშნავი ქალაქი, სადაც პირველად შედგეს ფეხი საჭიდაო ხელოვნების უმაღლეს მწვერვალზე და მიიღეს ყველაზე ღირსეული ჯილდო — ოქროს მედალი. დმიტრიევი უძლიერესი იყო უმჩატეს წონაში (ეს ის დმიტრიევი არაა, რომლის სახელიც აგერ უკვე ორი წელია გრგვინავს მსოფლიოს სარბიელზე. სახელმოხვეჭილი დმიტრიევი ჩიტიდანაა, ჩვენი გუშინდელი გმირი კი იაკუტსკიდან), მარკელოვი — მსუბუქში.

მძიმე წონაში ჩემპიონი გახდა ა. მედვედი. ამ გვარს კომენტარი არ სჭირდება. ვიტყვით მხოლოდ ერთს: მინსკელმა ფალავანმა დაიბრუნა ტიტული, რომელიც შარშან თბილისელ ათლეტს შ. ლომიძეს ჰქონდა (იგი წლეულს ჩემპიონატში არ მონაწილეობდა).

საშუალო წონაში ოქროს მედლის ბედი მოსკოველი გ. სტრახოვისა და თბილისელი ა. ცხოვრებოვის ორთაბრძოლამ გადაწყვიტა. სტრახოვმა აჯობა მეტოქეს, რისთვისაც ამიერიდან სსრ კავშირის ორგზის ჩემპიონად იწოდება.

მეორე ქვესაშუალო წონაში ოქროს მედალი მიიღო სარბიელის ერთ-ერთმა ვეტერანმა, კიეველმა ი. გუსოვმა.

## 607,5 კგ!

ვილნიუსი, 26 აპრილი. საშუალო წონის ათლეტ ვ. ივანჩენკოს მსოფლიო რეკორდი სამჭიდში კარგი დასაწყისი გამოდგა და, როგორც იტყვიან, რეკორდების წვიმა ნამდვილად წამოვიდა სსრ კავშირის ძალოსანთა პირადი ჩემპიონატის ბოლო ორ დღეს.

პერვოურალსკელმა ვ. კოლოტოვმა (ქვემძიმე წონა) 157,5 კგ აიტაცა, რითაც 1,5 კგ-ით გააუმჯობესა მოსკოვის ოლქის წარმომადგენელ ვ. პახომოვის საკავშირო რეკორდი. უკვე ორი მოძრაობის შემდეგ მას 332,5 კგ ჰქონდა. კოლოტოვმა პირველივე ცდაზე 190 კგ-ის დაძლევით 7,5 კგ-ით გააუმჯობესა ორი თვის წინ მის მიერვე დამყარებული საკავშირო რეკორდი. მაგრამ პერვოურალსკელი სპორტსმენი ამას როდი დასჯერდა: მეორე ცდაზე მან 200 კგ-ზე მიიტანა იერიში და წარმატებითაც! იშვა ერთბაშად ორი მსოფლიო რეკორდი: სამჭიდში 532,5 კგ-ის დაგროვებით კოლოტოვმა 2,5 კგ-ით გააუმჯობესა ოლიმპიური თამაშებისა და მსოფლიო ჩემპიონის, ფინელი კაარლო კანგასნიემის მსოფლიო რეკორდი; აკვრაში მსოფლიო რეკორდი კი ახლა უკვე 200,5 კგ-ს უდრის, ვინაიდან აწონის შემდეგ შტანგა ნახევარი კგ-ით მძიმე აღმოჩნდა.

მძიმე წონის ათლეტთა ჭიდილისადმი ინტერესი რამდენადმე შეანელა იმ ამბავმა, რომ მსოფლიო ჩემპიონი ი. ტალტსი სარბიელზე არ გამოსულა. მაგრამ ათლეტები არც ამ წონაში შეუშინდნენ მსოფლიო რეკორდების იერიშს. ჯერ 23 წლის მოსკოველმა ვ. იაკუბოვსკიმ დამატებით, მეოთხე ცდაზე აჭიმა 195 კგ, რითაც მსოფლიოს ახალი რეკორდი დაამყარა. შემდეგ რეკორდებს შეუტია 24 წლის ესტონელმა კ. უტსარმა. მან 162,5 კგ აიტაცა, რითაც ნახევარი კილოგრამით გააუმჯობესა კაარლო კანგასნიემის მსოფლიო რეკორდი, ხოლო შემდეგ 165 კგ დაძლია. სამჭიდში უტსარმა 545 კგ დააგროვა და ჩემპიონის ოქროს მედალსაც დაეუფლა.

და მაინც, შეჯიბრების გვირგვინი იყო ფიცარნაგზე ბოლო დღეს გამოსული ზემძიმე წონის ათლეტი ვ. ალექსეევი (შახტი). სულ რაღაც 3-4 თვეში ამ ფენომენალურმა სპორტსმენმა ქვეყანა აალაპარაკა. მსოფლიო რეკორდების ცხრილში მისი გვარი ორჯერ შეგხვდებოდათ — აკვრისა და სამჭიდის გასწვრივ. მაგრამ ერთი კვირის წინ ალექსეევს ერთი რეკორდი ჩამოართვეს: ბელგიელმა ს. რედინგმა ჯერ ს. ბატიშჩევის მსოფლიო რეკორდი (214) გააუმჯობესა აჭიმვაში და 215 კგ აჩვენა, მერე კი ალექსეევის მიღწევას შეეჭიდა აკვრაში (221,5). ბელგიელმა ეს შედეგიც კილოგრამით გააუმჯობესა. და აი, ვილნიუსის ფიცარნაგზე გამოვიდნენ მსოფლიოს ექს-რეკორდსმენები ვ. ალექსეევი და ს. ბატიშჩევი.

უკვე საწყისი წონები, რაც ალექსეევმა შეუკვეთა (აჭიმვა — 205, ატაცი — 170, აკვრა — 220), მეტყველებდა, რომ ათლეტი სერიოზულად იყო მომზადებული და ასევე სერიოზულად ფიქრობდა მსოფლიო რეკორდების ცხრილში „კუთვნილი" ადგილების მოპოვებაზე. მან პირველივე ცდაზე იოლად დასძლია საწყისი წონა და შემდეგ ერთბაშად მიიტანა იერიში 216 კილოგრამზე. ალექსეევმა საოცარი სიმსუბუქით დაძლია ეს წონაც და სსრ კავშირს დაუბრუნა მსოფლიო რეკორდი.

დასაწყისი შესანიშნავი გახლდათ. მაგრამ დარბაზში შეკრებილ ძალოსნობის მოყვარულთ ბევრი ჭირის ოფლი გადასკდათ, როცა ალექსეევმა ორჯერ ვერ აიტაცა 170 კგ. მშვიდად მხოლოდ ათლეტი გრძნობდა თავს. მესამე ცდა იმდენად დამაჯერებლად შესრულდა, რომ დარბაზმა სპორტსმენი მქუხარე ოვაციით დააჯილდოვა. საქმის ნახევარი გაკეთებული იყო. ახლა ალექსეევს აკვრაში უნდა ეთქვა თავისი სიტყვა და მსოფლიო რეკორდი სამჭიდში კვლავ გაუმჯობესდებოდა. მაგრამ საბჭოთა სპორტსმენს მსოფლიო რეკორდის დაბრუნება აკვრაშიც ეწადა. და როცა ალექსეევმა 223,5 კგ აჰკრა, დარბაზში მყოფთაგან ალბათ არავის ეეჭვებოდა, რომ იგი ნამდვილად შეძლებდა უფრო მეტსაც. ალექსეევმა თავისი ფენომენალური რეკორდი სამჭიდში ერთბაშად 7,5 კგ-ით გააუმჯობესა — 607,5 კგ! ჭეშმარიტად, უძლიერესთა შეჯიბრების დიდებული დასკვნითი აკორდია!

სსრ კავშირის ჩემპიონატის თავისებურება ის გახლავთ, რომ ცხრავე წონით კატეგორიაში გამარჯვებულთა შედეგები შარშანდელზე უკეთესი იყო. ამასთან, მსოფლიო რეკორდების ასეთი სიუხვე ამ ბოლო წლებში არ გვახსოვს.

## ახალი ამბები

● კიშინიოვი, 26 აპრილი. მოლდავეთის თასის გათამაშებაში ადგილობრივმა არმიელმა მძლეოსანმა ვ. ბოლშოვმა 216 სმ სიმაღლეზე გადებული თამასა გადალახა. შედეგი ბოლშოვისა, რომელსაც მალე 31 წელიწადი შეუსრულდება, წლეულს ევროპაში საუკეთესო მაჩვენებლის გამეორებაა.

● **უოლნათი, 26 აპრილი.** კალიფორნიის ამ ქალაქში მსოფლიო რეკორდსმენმა რ. მათსონმა (აშშ) ბირთვი 21,02 მეტრზე ჰკრა, რაც საუკეთესო შედეგია წლეულს მსოფლიოში.

● *დორტმუნდი, 26 აპრილი. „გუმერსბახის" (გფრ) ხელბურთელ ვაჟთა გუნდმა მეორედ მოიპოვა ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასი. ფინალურ მატჩში მან ანგარიშით 14:11 (8:5) დაამარცხა ბერლინის „დინამო" (გდრ).*

● **პრაღოვი, 26 აპრილი.** ჩეხოსლოვაკიისა და სსრ კავშირის კალათბურთელ ქალთა მეორე ამხანაგური შეხვედრაც სტუმრების გამარჯვებით დამთავრდა, ამჯერად ანგარიშით 58:54 (33:28). საბჭოთა ნაკრების საუკეთესო სნაიპერი იყო ბარეიკიტე (20 ქულა), ხოლო ჩეხოსლოვაკიელთა გუნდისა — იოშკოვა (12).

● **ნეაპოლი**, 26 აპრილი. ადგილობრივი „ფიდესის" კალათბურთელ ვაჟთა გუნდმა დაისაკუთრა ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასი. საპასუხო ფინალურ მატჩში მან აქ დაამარცხა საფრანგეთის „ვიში" — — 87:65 (ვიშიში გამართული პირველი მატჩი ფრანგებმა 4 ქულით მოიგეს).

● **სემიპალატინსკი, 27 აპრილი.** აქ დამთავრდა ყაზახეთის ვაჟთა საჭადრაკო ჩემპიონატი. 12 წლის შემდეგ ჩემპიონის სახელი კვლავ დაისაკუთრა ოსტატმა ა. უფიმცევმა (კუსტანაი). მოჭადრაკეთა შორის იგი ცნობილია, როგორც ახალი სადებიუტო სისტემის — „უფიმცევის დაცვის" ავტორი. ამ სისტემას წარმატებით იყენებენ დიდ ტურნირებში ბოტვინიკი და სხვა დიდოსტატები. 56 წლის უფიმცევმა სსრ კავშირის 38-ე ჩემპიონატის ნახევარფინალში თამაშის უფლება მოიპოვა.

● *დე-მოინი (აშშ), 26 აპრილი. ტეხასის უნივერსიტეტის სტუდენტთა კვარტეტმა, რომლის შემადგენლობაში იყვნენ დ. როჯერსი, რ. ვუდსი, ძმები მ. და კ. მილსები, 4×220 იარდზე ესტაფეტაში 0,4 წამით გააუმჯობესა ძველი მსოფლიო რეკორდი (1.22,1), რომელიც ამ ოთხეულმა ამას წინათ გაიმეორა. რ. მენმა 440 იარდზე თარჯრბენში წლეულს მსოფლიოში საუკეთესო შედეგი — 49,4 აჩვენა. დ. კნოპმა ბადრო 62,13 მეტრზე ტყორცნა. 22 წლის ამერიკელმა სტუდენტმა რ. მაკგილმა 216 სმ სიმაღლე დაძლია. II ადგილზეა შვედი კ. ლიუნდმარკი — 213 სმ.*

◆ რომი, 27 აპრილი. იტალიის ღია ჩემპიონატში ბრწყინვალე წარმატებას მიაღწიეს რუმინელმა ჩოგბურთელებმა ცირიაკმა და ნასტასემ. ვაჟთა ამ წყვილმა გადამწყვეტი მატჩი მოუგო ავსტრალიელებს ბოუერსა და დევიდსონს (0:6, 10:8, 6:3, 6:8, 6:1) და იტალიის ჩემპიონთა წოდება მოიპოვა. უიმბლდონის ტურნირში სამგზის გამარჯვებულმა; ამერიკელმა ჩოგბურთელმა ქალმა კინგმა ფინალში დაამარცხა თანამემამულე ჰელდმანი (6:1, 6:3), კაზალსთან წყვილში კი მან კიდევ ერთი გამარჯვება იზეიმა: ამერიკელებმა სძლიეს ინგლისურ-ფრანგულ დუეტს — უეიდსა და დიურს — 6:2, 3:6, 9:7. მეტრეველისა და ლიხაჩოვის წყვილი ნახევარფინალში დამარცხდა ავსტრალიელებთან — 1:6, 4:6, 4:6. მანამდე, ვაჟთა ერთეულების თანრიგის ნახევარფინალში მეტრეველი კოდეშთან (ჩეხოსლოვაკია) უკვე პირველ პარტიაში დაშავდა და დამარცხდა — 3:6, 6:8, 4:6.

◆ **ტოლუკა,** 27 აპრილი. მექსიკის ფეხბურთელთა ეროვნულმა გუნდმა რუმინეთის მეორე ნაკრებთან ვანმეორებითი შეხვედრა ფრედ დაამთავრა — 1:1. ანგარიში 25-ე წუთზე გახსნა მექსიკელმა ონოფრემ. მეორე ტაიმის დასაწყისში მომავალი მსოფლიო ჩემპიონატის მასპინძელთა კარში დაინიშნა 11-მეტრიანი საჯარიმო, რაც კარგად გამოიყენა გროცეამ.

◆ **სან-პაულუ,** 27 აპრილი. **ბრაზილიის ფეხბურთელთა ნაკრებმა პელეს მეთაურობითაც კი ვერ დაუმტკიცა 100 ათას მაყურებელს თავისი უპირატესობა ბულგარეთის ახალგაზრდულ ნაკრებთან შეხვედრაში — 0:0.**

◆ გლაზგო, 27 აპრილი. დიდი ბრიტანეთის ტრადიციული პირველობა მოულოდნელად დამთავრდა: ერთბაშად სამმა გუნდმა (ინგლისი, შოტლანდია, უელსი) 4-4 ქულა მოაგროვა. თუ უწინ ამ ჩემპიონატებში ხშირად ინგლისელები იმარჯვებდნენ, ამჯერად, საპატიო პრიზი 4-4 თვეს დაიდებს ბინას უელსელებთან და შოტლანდიელებთანაც. დასკვნით ტურში გლაზგოს „ჰემპდენ პარკის" სტადიონზე ინგლისელები, რომლებიც დაცვითი სტილით თამაშობდნენ, შოტლანდიელებთან ფრეს დასჯერდნენ — 0:0, უელსის ნაკრებმა კი დაამარცხა ჩრდილოეთ ირლანდიის გუნდი — 1:0. მანამდე ინგლისელმა ფეხბურთელებმა მოუგეს ჩრდილოეთ ირლანდიის ნაკრებს (3:1) და ფრედ (1:1) დაამთავრეს შეხვედრა უელსელებთან. ჩრდილოეთ ირლანდიის გუნდი პირველობის სხვა მონაწილეებთანაც დამარცხდა.

## ჩიქოვანი, კახაბრიშვილი თუ სანაძე?

მიიწურა საქართველოს მოჭადრაკე ქალთა პირველობა. ფინიშის ოთხმა ტურმა უკიდურესობამდე დაძაბა როგორც ჩემპიონის სახელისთვის, ისე სსრ კავშირის ჩემპიონატის ფინალის ორი საგზურისთვის ბრძოლა. გთავაზობთ ამ ტურების შედეგებს:

XI ტური. ჩხიკვაძე — კაჭარავა 0:1, დათაშვილი — კახაბრიშვილი 0:1, ბაღაშვილი — კობაიძე 0:1, წერეთელი — ხუგაშვილი 0:1, კოროშინაძე — შენგელია 1:0, სიორდია — სანაძე 0,5:0,5, ხუბულური — ჩიქობავა 0:1, ივანოვა — პილცერი გადაიდო.

XII ტური. კაჭარავა — სიორდია 1:0, კობაიძე — დათაშვილი 0,5:0,5, ხუგაშვილი — ბაღაშვილი 0:1, კოროშინაძე — წერეთელი 1:0, სანაძე — ხუბულური 1:0, შენგელია — ჩიქობავა 0:1, პილცერი — ჩხიკვაძე და კახაბრიშვილი — ივანოვა გადაიდო.

XIII ტური. ხუბულური — კაჭარავა 0,5:0,5, ჩხიკვაძე — კახაბრიშვილი 0,5:0,5, ივანოვა — კობაიძე 0:1, დათაშვილი — ხუგაშვილი 0:1, ბაღაშვილი — კოროშინაძე 0,5:0,5, წერეთელი — შენგელია 0,5:0,5, ჩიქობავა — სანაძე 0,5:0,5, სიორდია — პილცერი გადაიდო.

XIV ტური. კაჭარავა — ჩიქობავა 0:1, პილცერი — ხუბულური 0,5:0,5, კახაბრიშვილი — სიორდია 1:0, კობაიძე — ჩხიკვაძე 1:0, ხუგაშვილი — ივანოვა 1:0, კოროშინაძე — დათაშვილი 1:0. წერეთელი — ბაღაშვილი და სანაძე — შენგელია გადაიდო.

14 ტურის შემდეგ ლიდერობენ: ნ. ჩიქობავა — 11 ქულა, ც. კახაბრიშვილი — 10,5 ქულა და ერთი (ივანოვასთან, მოსაგებ მდგომარეობაში) გადადებული პარტია, მ. სანაძე — 10 ქულა და ერთი (შენგელიასთან, თანაბარ პოზიციაში) გადადებული პარტია, ლ. კოროშინაძე, თ. ხუგაშვილი — 9,5-9,5, ც. კობაიძე — 9.

დიდი მნიშვნელობა ენიჭება პირველობის დამამთავრებელ, XV ტურს, რომელიც დღეს დედაქალაქის ცენტრალურ საჭადრაკო კლუბში გაიმართება. საინტერესო იქნება ლიდერთა შეხვედრები: ჩიქობავა — პილცერი, ხუბულური — კახაბრიშვილი და სანაძე — კაჭარავა.

## გამარჯვება დიდი უპირატესობით

სსრ კავშირისა და ინგლისის მოცურავეთა პირველი ამხანაგური მატჩი 10 წლის წინ, აპრილში (ლონდონი) გაიმართა. 1961 წელს მეტოქენი მოსკოვში ასპარეზობდნენ, 1964 წელს — ბლეკპულში. 1967 წელს მატჩის მასპინძელი თბილისი იყო.

და აი, ახლა რიგით მეხუთე ტურნირი შოტლანდიის დედაქალაქ ედინბურგის 50-მეტრიან აუზში ჩატარდა. ამ ქალაქზე მასპინძელთა არჩევანი იმიტომ შეჩერდა, რომ აქ ბრიტანეთის თანამეგობრობის ქვეყნების IX თამაშებისთვის ემზადებიან. ეს შეჯიბრება როგორც სპორტსმენთა, ისე ბაზების ერთგვარი შემოწმება იყო. „დედოფლის აუზი" ორ დღეს მასპინძლობდა ორი ქვეყნის უძლიერესთა ტურნირს, რომელშიც სტუმრები უფრო მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდნენ: სსრ კავშირის 27-კაციან გუნდს ოლიმპიური პროგრამის 29 სახეობაში უნდა ეასპარეზა. ესე იგი, თითო მონაწილეს ყოველდღიურად სტარტზე 2-3-ჯერ გამოსვლა უხდებოდა. იქნებ ამიტომაც იყო, რომ რეკორდები არ გაუმჯობესებულა. გამონაკლისი გახლდათ თბილისის დინამოელი თ. ლეკვეიშვილი, რომელმაც 200 მეტრზე გულაღმა ცურვაში 2.30,5 აჩვენა და 1,4 წამით გააუმჯობესა საქართველოს რეკორდი, რომელიც მანვე 1968 წელს დაამყარა. ლეკვეიშვილი 100 მეტრზე გულაღმა ცურვაშიც საუკეთესო იყო (1.09,8), თუმცა ეს შედეგი მის საკავშირო რეკორდს საგრძნობლად ჩამორჩება.

ლ. რუსანოვამ 100 მეტრზე ბრასით ცურვაში გამარჯვებულ ა. გრებენიკოვასთან (1.16,4) წააგო, მაგრამ გოგონათა საკავშირო რეკორდი (1.17,1) მაინც გაიმეორა. 200 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში ევროპის რეკორდი ძლივს გადარჩა: გ. კულიკოვმა 50 მ 26,8 წამში გაცურა, 100 მ — 56,6 წამში, 1500 მეტრზე კი 1.25,9 აჩვენა. კულიკოვის გრაფიკი ბევრად სჯობდა გ. ფასნაჰტის (გფრ) მიერ კონტინენტის რეკორდის დამყარების გრაფიკს, მაგრამ, რადგან მეტოქე არ ჰყავდა, კულიკოვმა ტემპს დაუკლო და საბოლოოდ 1.59,2 აჩვენა. მანვე მოიგო ამავე სტილით 100 მეტრზე ცურვა — 54,2.

ორი გამარჯვება იზეიმა ე. მიხაილოვმაც — ბრასით 100 მ — 1.08,7, ხოლო 200 მ — 2.27,6. ა. გრებენიკოვა საუკეთესო იყო 200 მეტრზე ბრასით — 2.46,8. 200 მეტრზე კომპლექსურ ცურვაში ევროპის რეკორდსმენმა ვ. კრავჩენკომ იმარჯვა 400 მეტრზე კომპლექსურ ცურვაში — 4.55,2.

მატჩი საბჭოთა სპორტსმენების აშკარა უპირატესობით აღინიშნა (მასპინძლებმა მხოლოდ 8 დისტანცია მოიგეს) და მათივე გამარჯვებით დამთავრდა — 200:104.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ვემზადოთ სსრ კავშირის ხალხთა V სპარტაკიადისთვის!





# დასაწყისი კარგია

როცა შეჯიბრების შემდეგ მსაჯები და მონაწილენი ერთმანეთს მადლობას უძღვნიან, ეს ნიშნავს, რომ ასპარეზობა საინტერესოდ და ორგანიზებულად ჩატარდა. ასეთი იყო საქართველოს ცხენოსანთა წლევანდელი პირადი პირველობის ფინალი დაბრკოლებათა გადალახვაში, რომელიც თბილისის იპოდრომზე გაიმართა.

სეზონის პირველ ასპარეზობას ყველა ინტერესით მოელის, მაგრამ ახლა ყოველი შეჯიბრების მნიშვნელობას საბჭოთა კავშირის ხალხთა მომავალი სპარტაკიადისთვის მზადებაც ზრდის.

წინა სპარტაკიადებში საქართველოს მხედრებმა თვალსაჩინო წარმატებები ვერ მოიპოვეს. ახლა მდგომარეობა გამოსწორდა. მწვრთნელები აღარ „ინდობენ" აღსაზრდელებს და დაბრკოლებების სირთულე სპარტაკიადის პროგრამის მოთხოვნების დონემდე აჰყავთ. ეს ჯერ კიდევ შარშანდელი სეზონის სტარტზევე შეიმჩნეოდა. ჩვენი მხედრების წინსვლა ჯერ კიდევ საქართველოსა და „კოლმეურნის" პირველობებში (ცხაკაია), საბოლოოდ კი კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საკავშირო შეჯიბრებაში (კიევი) გამოიკვეთა.

აქვე უნდა აღვნიშნოთ ცხაკაიელთა განსაკუთრებული დამსახურება. ჩვენ ბევრჯერ ვწერდით მათს მონდომებასა და ენთუზიაზმზე რაიონში ცხენოსნობის განვითარების მიზნით. ახლა თამამად შეიძლება ითქვას, რომ რესპუბლიკაში ცხენოსნობის განვითარების სათავე სწორედ ცხაკაიაში უნდა ვეძიოთ.

ზემოაღნიშნულ შეჯიბრებებში ცხაკაიელებმა ნოვატორული როლი ითამაშეს და წლევანდელი სეზონის დასაწყისში წარმატებები კიდევ უფრო თვალსაჩინო გახადეს. მაგრამ ამაზე ქვემოთ. ახლა კი უშუალოდ წლის პირველ ასპარეზობას დავუბრუნდეთ. ამთავითვე უნდა აღინიშნოს მონაწილეთა მასობრიობა: სარბიელზე თბილისის, ცხაკაიის, ზუგდიდის, ჩოხატაურის, სოხუმის, ოჩამჩირისა და გულრიფშის 35 რჩეული მხედარი გამოვიდა. ეს რიცხვი უფრო „შინაარსიანი" გახდება, თუ იმასაც დავსძენთ, რომ თითოეულ სპორტსმენს პროგრამის ყველა სახეობაში („გახსნის პრიზი", „ამორჩევით დაბრკოლებათა გადალახვა", „სამონადირეო პარკური", „ძალისმიერი" და სხვ.) უნდა ეასპარეზა და აბსოლუტური ჩემპიონობისთვის მებრძოლს. არც ცხენი უნდა გამოეცვალა.

„გახსნის პრიზი" ერთგვარი სასინჯი ქვა იყო. სტარტი ყველა მონაწილემ აიღო, მაგრამ 110-130 სმ სიმაღლის 13 დაბრკოლების გადალახვა (15 ნახტომი) 12 მხედრისთვის მიუწვდომელი ოცნება გახდა. აი, აქ გამოიკვეთა ძლიერთა და სუსტთა ბანაკები. საბოლოოდ, ასპარეზობა უჯარიმოდ დაამთავრეს ცხაკაიელმა დ. მალანიამ და სოხუმელმა დ. ხოფერიამ, თბილისელ ბ. კუზმინსა და სოხუმელ ა. მოხერს კი 3-3 საჯარიმო ქულა ჰქონდათ. ამ ორ წყვილს შორის დამატებით ხტომებში ხოფერიამ წააგო მალანიასთან და II ადგილს დასჯერდა, ხოლო თბილისის 56-ე საშუალო სკოლის მეექვსეკლასელმა კუზმინმა დაამარცხა გამოცდილი მოხერი.

„ამორჩევით დაბრკოლებათა გადალახვაში" სტარტზე 6 მხედარი უკვე აღარ გამოვიდა. მერე ისიც გამოირკვა, რომ კიდევ 8 მხედარს სათანადოდ ვერ შეუფასებია თავისი შესაძლებლობა და ისინიც შეჯიბრებას გამოეთიშნენ. აქ მონაწილეებს 15-დან სხვადასხვა ქულად შეფასებული 12 დაბრკოლება უნდა ამოერჩიათ. ცხაკაიელმა გ. მარეიკომ და ზუგდიდელმა ბ. ემუხვარმა მაქსიმუმი — 156-156 ქულა მოაგროვეს, ხოფერიამ — 148. ამ უკანასკნელმა III ადგილი გაინაღდა. ემუხვარი და მარეიკო კვლავ გამოვიდნენ სარბიელზე. I ადგილის ბედი ცხაკაიელის სასარგებლოდ გადაწყდა.

„სამონადირეო პარკურში" პირველობა ზუგდიდელმა ო. ჯაფარიძემ მოიპოვა, რომელმაც 120-140 სმ სიმაღლის 12 დაბრკოლება „პაელინით" გადალახა (1.10,0) და 2 წამით აჯობა მარეიკოს. III ადგილზეა კ. გაშიბაიაზოვი (თბილისი).

„ძალისმიერ" ხტომებში გამარჯვებულთა გამოსავლინებლად დაბრკოლებათა გართულება გახდა საჭირო. თბილისელმა ვ. ღამბაროვმა აჯობა ჯაფარიძეს და პირველად შეასრულა ოსტატობის კანდიდატის ნორმატივი. ემუხვარს ამჯერად III ადგილი ხვდა.

საქართველოს კომკავშირის თასის გათამაშებას საბოლოოდ უნდა გაერკვია აბსოლუტური ჩემპიონის ვინაობა. გამარჯვების ყველაზე რეალური შანსი მარეიკოს და ჯაფარიძეს ჰქონდათ. პირველი წრე ორივემ უშეცდომოდ განვლო. მეორე წრეში მხოლოდ 8 მხედარი გამოვიდა სტარტზე. ლიდერები აქაც ლიდერებად დარჩნენ. მათგან თითოეულს 6-6 დაბრკოლება უნდა დაეძლია, თანაც, ამ დაბრკოლებებიდან ზოგის სიმაღლე 160 სმ და სიგანე 150 სმ იყო. ფაქტიურად, ეს მომავალი სპარტაკიადის რეპეტიცია გახლდათ (დაბრკოლებები სირთულით სპარტაკიადის მოთხოვნებს შეესაბამებოდა).

ჯაფარიძემ და მარეიკომ მწვრთნელები და მსაჯები დაარწმუნეს, რომ შესწევთ მაღალ დონეზე ბრძოლის უნარი. ჯაფარიძეს ერთხელ ცდის გამეორება დასჭირდა და II ადგილით დაკმაყოფილდა. ორივე მხედარმა პირველად შეასრულა სპორტის ოსტატის ნორმატივი.

ამ წარმატებით მარეიკომ წლეულს ზედიზედ მეორედ მოიპოვა საქართველოს აბსოლუტური ჩემპიონის წოდება. III ადგილზეა გაშიბაიაზოვი.

**თ. გაჩეჩილაძე.**

* * *

სურათებზე: ბ. ემუხვარი (მარცხნივ) ასპარეზობისას; ო. ჯაფარიძე.

ფოტო ავტორისა.

# მასპინძლები გეგმას ასრულებენ

სსრ კავშირის 8 უძლიერესი გუნდის ტყვიის მსროლელებმა ასპარეზობა თავიდან შესანიშნავად დაიწყეს: ქვეყნის ორი ახალი რეკორდი დაამყარეს. მოსალოდნელი იყო, რომ სპორტსმენები ტურნირს ასევე მაღალ დონეზე გააგრძელებდნენ, მაგრამ შეჯიბრების კიდევ ხუთი დღე ისე მიილია, რომ საკავშირო კი არა, რესპუბლიკური რეკორდებიც არ გაუმჯობესებულა. სპეციალისტები ამას ნაადრევი სტარტით, რეკორდების ისედაც მაღალი დონითა და ავჭალის სასროლეთზე მქროლავი ქარით ხსნიან. და მაინც, პრიზიორები სპორტის ოსტატებისა და საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატების შესაბამის შედეგებს აჩვენებენ.

მაინცდამაინც ვერც მასპინძლებს დავემდურებით. საქართველოს გუნდის წევრები დაკარგული პოზიციების აღდგენისთვის იბრძვიან და მიზანთან სულ ახლოს არიან: სადღეისოდ V ადგილს ინარჩუნებენ.

ტურნირის მეოთხე დღეს დამთავრდა შეჯიბრება მრგვალ სამიზნეებსა და სილუეტებზე სროლაში, რომელიც ორ დღეს გრძელდებოდა. ქალები ამ ვარჯიშს მცირეკალიბრიანი პისტოლეტით, ხოლო ვაჟები რევოლვერ-პისტოლეტით ასრულებდნენ. ქალთა ტურნირში სპორტის ოსტატებმა ვ. რეზნიკამ (ლენინგრადი) და ნ. იბრაჰიმოვამ (რსფსრ) შეჯიბრების მეორე ნახევრის 30 გასროლიდან მხოლოდ 5-5 ქულა დაკარგეს, სპორტის ოსტატებმა ვ. პეტროვამ (ლენინგრადი) და ვ. იულინამ (მოსკოვი) კი თითო ქულით მეტი. მაგრამ გამარჯვება სპორტის ოსტატ გ. მოსეიჩუკს (რსფსრ) ხვდა, რომელმაც 582 ქულა მოაგროვა. ვინაიდან სპორტის ოსტატებს ვ. გომაძეს (რსფსრ), იბრაჰიმოვას და ქვეყნის რეკორდსმენს, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატ ე. სემენენკოს (უკრაინა) 579-579 ქულა აღმოაჩნდათ, II და III ადგილების ბედი დამატებითმა სერიამ გადაწყვიტა. სერია იბრაჰიმოვამ მოიგო. სემენენკო III ადგილზეა. მასპინძელთაგან საუკეთესო იყო სპორტის ოსტატი ო. კუდრიავცევა (565 ქულა, XXIII ადგილი).

გუნდურ ჩათვლაში ყველას აჯობეს რსფსრ-ს სპორტსმენებმა — 1725 ქულა. საქართველოს ტრიო (ტ. კობოსნიძე, მ. ღვინერია, კუდრიავცევა) VI ადგილზეა — 1686 ქულა.

სილუეტებზე მსროლელ ვაჟებში ყველას აჯობა ბაქოელმა ა. სპივაკოვმა — 300-დან 299 ქულა. მრგვალ სამიზნეებზე სროლის შემდეგ იგი XI ადგილზე იყო, მაგრამ ამ შედეგმა საერთო ჯამში II ადგილზე გადაიყვანა. გამარჯვება ლენინგრადელ ა. მიტიუშინს ხვდა — 584 ქულა. მასპინძლებიდან საუკეთესო გახლდათ ე. კარტაშიანი (573 ქულა, VIII ადგილი). გუნდურ შეჯიბრებაში ლენინგრადის კვარტეტმა იმარჯვა — 2277 ქულა. საქართველოს ოთხეულმა (კარტაშიანი, ვ. სალუქვაძე, ო. კვირიკაშვილი, მ. ჟამურაშვილი) გამარჯვებულთან 32 ქულა წააგო და V ადგილი დაიკავა.

საინტერესო გამოდგა მცირეკალიბრიანი შაშხანით სტანდარტზე (3×40) შეჯიბრება. წოლელა სროლის პირველი სერიის შემდეგ 100-დან ქულათა მაქსიმუმი ბევრმა მოაგროვა, მაგრამ მეოთხე სერიაში სპორტსმენებს დაღლა დაეტყოთ. სხვებზე უკეთ მომზადებული აღმოჩნდა საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი ვ. იარომენკო (უკრაინა), რომელმაც 400-დან მხოლოდ 3 ქულა დაკარგა.

II და III საპრიზო ადგილების ბედი ამ ვარჯიშშიც ბოლო სერიის მაჩვენებლებმა გადაწყვიტა: სამ მონაწილეს 396-396 ქულა აღმოაჩნდა. II ადგილი მიეკუთვნა ი. მიხაილკინს (ტაჯიკეთი), რომელმაც ბოლო სერიაში 99 ქულა მოაგროვა, III — საქართველოს გუნდის წევრს ვ. სკრინიკოვს (98).

დგომელა სროლაში იმარჯვა მეხიკოს ოლიმპიადის პრიზიორმა, სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა ვ. კორნევმა (რსფსრ) — 372. ჩვენი რესპუბლიკიდან საუკეთესომ — ვ. აბაჯიანმა 366 ქულა მოაგროვა (V ადგილი). ჩოქელა სროლაში ი. კუდრიაშოვმა (მოსკოვი) 388 ქულა დააგროვა, საერთო ჯამში 1143 ქულა მიიღო და პირველობაც მან დაისაკუთრა. ჩოქელა სროლაში სკრინიკოვი, მართალია, მეორე იყო (387 ქულა), მაგრამ საერთო ჯამში მას აბაჯიანმა აჯობა. ამ უკანასკნელმა 1135 ქულა დააგროვა და X ადგილზე გავიდა. საქართველოს სპორტსმენებმა გუნდური VI ადგილი დაიკავეს.

„გაქცეულ ტახზე" ნადირობა დამთავრდა. პირად შეჯიბრებაში ყველაზე მეტი — 171 ქულა პ. პლახატიუკს (უკრაინა) აღმოაჩნდა. ს. ქუსიკაშვილმა (საქართველო) 156 ქულით XX ადგილი დაიკავა. მასპინძლები გუნდურ ჩათვლაში უხეიროდ (VII ადგილი) გამოვიდნენ.

მცირეკალიბრიანი შაშხანით სტანდარტზე (3×20) ქალთა შეჯიბრებაში მოასპარეზე საქართველოს გუნდის წევრებს ვერ დავემდურებით. წოლელა სროლაში ს. ბუჩუკური მხოლოდ ქულას აგებდა ლიდერებთან ვ. ეფრიომკინასთან (რსფსრ) და ე. ზახარჩენკოსთან (ბელორუსია), რომლებმაც 200-დან 198-198 ქულა დააგროვეს. დგომელა სროლაში დაწინაურდა ლენინგრადელი ლ. ფაგერიოვა — 184 ქულა. ზახარჩენკომ 183 ქულა დააგროვა, ბუჩუკურმა — 182. ჩოქელა სროლაში ხუთ მონაწილეს 193-193 ქულა ჰქონდა. მათ შორის ფაგერიოვა და ზახარჩენკოც იყვნენ. ამანაც განაპირობა სტანდარტის ჯამში ფაგერიოვას გამარჯვება — 576. II ადგილზეა ზახარჩენკო (574), III — ბუჩუკური (568).

ექვსდღიანი ასპარეზობის შემდეგ საერთო გუნდურ ჩათვლაში ლიდერობს რსფსრ-ს კოლექტივი. II ადგილზეა ლენინგრადის გუნდი, III — მოსკოვის კოლექტივი.

**თ. ლეკიშვილი,**
**სპორტის ოსტატი.**

სსრ კავშირის 8 უძლიერესი გუნდის შეჯიბრების მონაწილეებმა შაბათს კვლავ გამოიჩინეს თავი — ქვეყნის 3 რეკორდი დაამყარეს: „გაქცეულ ირემზე" სროლაში რსფსრ-ს კვარტეტმა (ა. ფარაფონოვი, ი. ნიკიტინი, ლ. იაკუნინი, ვ. პოსტოიანოვი) 824 ქულა მოაგროვა და 8 ქულით გააუმჯობესა სსრ კავშირის რეკორდი, რომელიც ამავე რესპუბლიკის ნაკრებს ეკუთვნოდა.

პნევმატური შაშხანით ვაჟთა ასპარეზობაში საბჭოთა არმიის სერჟანტმა ვ. აკიშევმა 400-დან 382 ქულა მოაგროვა, რეკორდის სარეგისტრაციო საწყის ნორმატივს გადაამეტა და ქვეყნის პირველი რეკორდის ავტორიც გახდა.

მესამე რეკორდიც რსფსრ-ს სპორტსმენებმა დაისაკუთრეს: პნევმატური შაშხანით გუნდურ სროლაში აკიშევმა, ნ. რასჩოტნოვმა, ვ. კორნევმა და ვ. კალინინმა 1600-დან 1504 ქულა მოაგროვეს. ეს საკავშირო რეკორდის საწყის ნორმატივზე 14 ქულით უკეთესია.

## მსოფლიო რეკორდი

სტოკჰოლმი, 26 აპრილი. შვედური კლუბის „სანდვიკენის" შეჯიბრებაში მსოფლიო ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორმა, ქვესაშუალო წონის ფინელმა ძალოსანმა ი. მურსუმ ახალი მსოფლიო რეკორდი დაამყარა აჰიმვაში — 162,5 კგ. ეს ერთი კილოგრამით სჯობს მსოფლიოსა და ოლიმპიური თამაშების ჩემპიონის ვ. კურენცოვის შარშანდელ რეკორდს.

### ◆ აბაშა

ჩატარდა კალათბურთელთა ტურნირი მოსწავლეთა რაიონული სპარტაკიადის პროგრამით. I ადგილი დაიკავა აბაშის მე-2 საშუალო სკოლამ. მაგიდის ჩოგბურთელთა ასპარეზობაში წარმატება წილად ხვდათ: გოგონებში — თ. ნოდიას (ძველი აბაშა), ჭაბუკებში — ნ. ჭანტურიას (მარანი).

* * *

სპორტსკოლის დარბაზში სამ დღეს მიმდინარეობდა საქართველოს მოსწავლეთა XXII რესპუბლიკური სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული ზონალური შეჯიბრება ფრენბურთში. სარბიელზე გამოვიდნენ გეგეჭკორის, ტყიბულის, წულუკიძისა და აბაშის ბავშვთა სპორტული სკოლების გუნდები. გოგონებში I ადგილი აბაშელებმა დაისაკუთრეს. ჭაბუკთა შორის გაიმარჯვეს ტყიბულელებმა.

**რ. ჭანტურია.**

### ◆ ოჩამჩირე

საინტერესო იყო რაიონის სკოლების მოჭადრაკეთა პირველობა. იმარჯვა პ. ფარცვანიამ (ახალი კინდღი). II ადგილი ხვდა მ. ჯონჯუას (მოქვის საბჭოთა მეურნეობა), III — რ. ძაგანიას (კინდღი).

**რ. ჭედია,**
**შეჯიბრების მსაჯი.**

### ◆ გულრიფში

კიროვის სახელობის კოლმეურნეობაში ფიზკულტურულ-მასობრივი მუშაობა თითქმის ჩაშლილი იყო. ამ ბოლო ხანს მდგომარეობა გამოსწორდა. კოლმეურნეობის გამგეობამ ადგილობრივი ფიზკულტურელებისთვის შეიძინა სპორტული ფორმა, მოაწყო ფრენბურთისა და კალათბურთის მოედნები. მალე მზად იქნება ფეხბურთის მინდორიც.

* * *

დამთავრდა ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი, მოსწავლეთა რაიონული სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული შეჯიბრება მაგიდის ჩოგბურთში. I ადგილი დაიკავეს ბაბუშარის საშუალო სკოლის წარმომადგენლებმა.

**შ. ჯალალონია.**

## გულგრილობა გრძელდება

გურჯაანის მძლეოსანთა რაიონულ პირველობაში კარგად მომზადებული გუნდები გამოიყვანეს „კოლმეურნემ" და სპორტსკოლამ, ამიტომ საპრიზო ადგილების უმეტესობაც მათს წარმომადგენლებს დარჩათ.

სამწუხაროდ, საინტერესო შეჯიბრებას თავი აარიდეს ქ. გურჯაანის ქართული, სოფლების გურჯაანის, ველისციხის, კაჭრეთის, არაშენდის საშუალო სკოლებმა. მათ გუნდების დაკომპლექტება შეუძლიათ, მაგრამ ამ სკოლებში თავს არ იწუხებენ „სპორტის დედოფლის" განვითარებისთვის. არა და ხშირია შემთხვევა, როცა მათი მოსწავლეები საასპარეზოდ პარტიზანულად ცხადდებიან და მსაჯთა კოლეგიას ტურნირში მონაწილეობის უფლებას სთხოვენ.

**ბ. წიკლაური.**

გურჯაანი.

სსრ კავშირის პირველობა

# წამები, წამები...

ლენინგრადი. კიროვის სახელობის სტადიონი. 25 აპრილი.

„ზენიტი“ (ლენინგრადი) — „დინამო“ (თბილისი) 1:1 (0:1).

„ზენიტი“: შაპოვალენკო, ბულავინი, გოლუბევი, ლოხოვი, მასლოვი, სადირიში, კოხი, ვიუნი, ბურჩალკინი, ნიკოლსკი (პოლიაკოვი), უნანოვი.

„დინამო“: კოტრიკაძე (სტეფანია), კანთელაძე, რეხვიაშვილი, ჭელიძე, ხინჩაგაშვილი, პეტრიაშვილი, კუტივაძე, მაჩაიძე, გავაშელი, მჭედლიშვილი, ლ. ნოდია (ილიადი).

მსაჯი ე. ჰიარმსი (ტალინი).

დუბლიორები — 1:0 „დინამოს“ სასარგებლოდ. გოლი გაიტანა ვერულავამ.

ხშკარად არ წყალობს ბედი წლევანდელ ჩემპიონატში თბილისის „დინამოს“. თავად განსაჯეთ: როსტოვში თამაში იწურებოდა, როცა არმიელებმა შეძლეს გადამწყვეტი ბურთის გატანა. ასევე მოხდა დონეცკში. აქაც თავდებოდა მატჩი და პილიპჩუკმა შეძლო ქულა ეხსნა „შახტიორისთვის“, თუმცა თბილისელებმა მეორე ბურთი გაიტანეს და მოსკოველმა მსაჯმა ვ. ლიპატოვმა იგი არ ჩათვალა იმის გამო, რომ მის წამმზომზე 4 წამი იყო გადაცილებული 90 წუთს.

ახლაც, ლენინგრადში, დინამოელები „ზენიტს“ უგებდნენ ანგარიშით 1:0 და მასპინძლებმა წაგებას თავი დააღწიეს, როცა მატჩის დამთავრებას სულ რაღაც 6 წამი აკლდა. ჰიარმსმა თამაშის განახლება ვერც მოასწრო. ეს წამები რაღაც არ გამოდის ჩვენს სასარგებლოდ...

„ზენიტისთვის“ ახლა თითოეულ ქულას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, ვინაიდან გუნდი აუტსაიდერთა შორისაა და ჯერჯერობით უმაღლესი ჯგუფიდან გავარდნის ერთ-ერთი მთავარი კანდიდატია. ამიტომ ლენინგრადელებმა ყველაფერი იღონეს, რათა წარმატებისთვის მიეღწიათ თბილისის „დინამოსთან“, რომელიც განახევრებული შემადგენლობით თამაშობდა ნაკრებში 5 წამყვანი ფეხბურთელის გაწვევის გამო.

„ზენიტმა“ აქტიურად ჩაატარა პირველი ტაიმი და ბევრი სახიფათო მომენტი შექმნა სტუმრების კართან. აქ საუცხოოდ ითამაშეს კოტრიკაძემ და მცველებმა, რომლებმაც შეძლეს კარის უხიფათობის შენარჩუნება. სამაგიეროდ, შედეგიანი გამოდგა დინამოელთა შეტევა. დასაწყისშივე, მე-7 წუთზე, საჯარიმო დარტყმიდან მოწოდებული ბურთი შეუჩერებლივ გაგზავნა კარში ლ. ნოდიამ — 1:0.

შესვენების შემდეგ თბილისელებმა უკეთ ითამაშეს და რამდენიმე სახიფათო მომენტი შექმნეს მოწინააღმდეგის კართან. მაგალითად, გავაშელი, მჭედლიშვილი, ლ. ნოდია პირისპირ დარჩნენ შაპოვალენკოსთან და ვერ გამოიყენეს ეს საუკეთესო შესაძლებლობანი.

გოლი „ზენიტმა“ მაინც გაქვითა ასეთ ვითარებაში: 70-ე წუთზე კოტრიკაძე დაშავდა. სანამ მას დახმარებას უწევდნენ, მსაჯმა წამმზომი გამორთო და 3 წუთი დაუმატა მატჩის დროს. აი, ამ დამატებით დროში შეძლო უნანოვმა ბურთის გატანა.

როგორც მოგახსენეთ, ჰიარმსს ცენტრიდან არ განუახლებია თამაში...

გ. გოლქვაძე.
(ჩვენი სპეც. კორ.).

## გუშინ, გუშინწინ, გუშინწინ...

25 აპრილის ტურიდან ჩვენს გაზეთში არ იყო აღნიშნული მხოლოდ „ჩერნომორეცისა“ და „არარატის“ მატჩის გოლების ავტორთა ვინაობა. იქ ანგარიში გახსნეს ერევნელებმა (ზანაზანიანი), მერე მოსკალენკომ გაქვითა გოლი, ბოლოს კი მასლოვმა 88-ე წუთზე დააწინაურა „ჩერნომორეცი“ — 2:1.

ასევე მოხდა მოსკოვის „სპარტაკისა“ და როსტოვის არმიელთა შეხვედრაშიც, რომელიც გუშინწინ შედგა მოსკოვში. წინ სპარტაკელები იყვნენ (ჰუსაინოვი), მერე კი მირონოვმა და პროსკურინმა (ორჯერ) დააწინაურეს თავიანთი გუნდი. გაიმარჯვეს როსტოველებმა — 3:1.

გუშინ მოსკოვში ერთმანეთს შეხვდნენ ცსკა და „ზარია“. დიდი ანგარიშით გაიმარჯვეს არმიელებმა — 4:0. შეხვედრის ბედი, ფაქტიურად, შესვენებამდე გადაწყდა, როცა ჯერ პოლიკარპოვმა, მერე კი მახლიაევმა და ფედოტოვმა (11-მეტრიანი საჯარიმო დარტყმით) 3 „მშრალი“ ბურთი გაიტანეს „ზარიას“ კარში.

მეორე ტაიმში აბდურაიმოვმა ანგარიში გაზარდა.



ს უ რ ა თ ზ ე: ტორპედოელი შ. ქიქავა (მარჯვნივ) ბაქოელთა მცველთან ბრძოლის დროს.

ლ. ფაჩუაშვილის ფოტო.

## „ტორპედო“ სტაბილურად თამაშობს

ქუთაისი. ცენტრალური სტადიონი. 25 აპრილი.

„ტორპედო“ (ქუთაისი) — „ნეფთჩი“ (ბაქო) 0:0.

„ტორპედო“: გოგია, ჩხაიძე, წვერავა, ჭოხონელიძე, შერგელაშვილი, ოქროპირაშვილი, ერქომაიშვილი (ქორიძე), ანფიმიადი, ვეკუა, ხერხაძე, ქიქავა.

„ნეფთჩი“: კრამარენკო, ყულიევი, ბრუხტი, ი. ბაბაევი, ხიომინი, ლიოგკი (მირზოიანი), სმოლნიკოვი, ეინულაევი (აბდულაევი), ბანიშევსკი, მარქაროვი, გაჯიევი.

მსაჯი ი. ბოჩაროვი (მოსკოვი).

დუბლიორები — 4:2 „ტორპედოს“ სასარგებლოდ. ბურთები გაიტანეს: ქუთაისელთაგან — ასიტაშვილმა (2), დელბამ, კიკვიძემ; ბაქოელთაგან — ყულიევმა, ლეკსინმა.

აი, უკვე მერვე მატჩს ატარებს წლევანდელ ჩემპიონატში ქუთაისის „ტორპედო“ და საერთო შთაბეჭდილება ერთობ დამაკმაყოფილებელია. გუნდი თამაშობს მონდომებით, მაღალ სპორტულ დონეზე და, რაც მთავარია, სტაბილურად. თუ არ ჩავთვლით როსტოვის არმიელებთან მარცხს, ჩვენმა გუნდმა განვლილი ტურების შეხვედრები ჩაატარა დაახლოებით თანაბარ დონეზე, სოლიდურად, რაც მომავალ ახალ წარმატებათა საფუძველს გვაძლევს.

ასევე კარგად ითამაშეს ქუთაისელებმა „ნეფთჩისთან“ და, თუ ეს შეხვედრა საბოლოოდ ფრედ დამთავრდა, უნდა ვივარაუდოთ, რომ უფრო ბაქოელებმა შეასრულეს თავიანთი გეგმა (1 ქულა), ვიდრე ტორპედოელებმა, რომლებსაც შეეძლოთ 2 ქულა მიემატებინათ თავიანთი აქტივისთვის.

მატჩი მიმდინარეობდა დაძაბულ ბრძოლაში, ორივე კართან ხშირად იქმნებოდა სახიფათო მომენტები და მეკარეებმა, ისევე როგორც მცველებმა, ძლიერად ითამაშეს. კვლავ გამოიჩინა თავი გოგიამ, თუმცა მანაც დაუშვა ერთი შეცდომა მე-16 წუთზე, როცა ეინულაევს საშუალება მისცა დაერტყა ცარიელ კარში. მდგომარეობა იხსნა ჭოხონელიძემ, რომელიც დროზე ჩადგა კარში.

ქუთაისელთა რიგებიდან აღსანიშნავი არიან, აგრეთვე, წვერავა, რომელმაც მთლიანად გამოთიშა თამაშიდან მეტოქის ძლიერი ცენტრალური თავდამსხმელი ბანიშევსკი და ქიქავა, რომლის წინააღმდეგ ბრძოლაში ბაქოელთა მცველებს დიდი ჯაფა დაადგათ. შედარებით პასიური ჩანდა ხერხაძე, თუმცა რამდენიმე მომენტში იგი ძალიან სახიფათო იყო.

კრამარენკოს პირველივე წუთებში მოუხდა ძნელი ბურთების აღება ანფიმიადისა და ქიქავასგან, მე-18 წუთზე კი მან კარი იხსნა ქიქავა — ხერხაძე — ქიქავას კომბინაციის შემდეგ.

მეორე ტაიმში ბაქოელები ყოველნაირად ცდილობდნენ დაეგდოთ ტემპი და გაეჭიანურებინათ დრო. ამ ტაქტიკის მეოხებით მათ შეძლეს ფრედ დაემთავრებინათ შეხვედრა.

შ. ნიჟარაძე.
(ტელეფონით, ჩვენი კორ.).

## „ლოკომოტივმა“ მოუგო ჩემპიონს

ჩვენს დედაქალაქში სტუმრადაა სსრ კავშირის ჩემპიონი რეგბიში — მოსკოვის ი. გაგარინის სახელობის სამხედრო-საავიაციო ინსტიტუტის გუნდი.

მოსკოველებმა უკვე გამართეს ამხანაგური მატჩი თბილისის „დინამოსთან“ და გაიმარჯვეს — 19:3. ამიტომ შაბათს რუსთავის „მეტალურგის“ სტადიონზე ჩემპიონისა და თბილისის „ლოკომოტივის“ შეხვედრას ქართული რეგბის პრესტიჟის დაცვაც ჰქონდა დაკისრებული.

მატჩი მოსკოველთა იერიშებით დაიწყო. მათ მარაოს საშუალებით მიაღწიეს რკინიგზელთა ჩათვლის მოედანს, მაგრამ ზ. ხარშილაძემ ბოლო მომენტში შეძლო მეტოქის გარღვევის შეჩერება.

თანდათან ინიციატივას თბილისელები დაეუფლნენ. ისინი ხშირად იგებენ აუტიდან მოწოდებულ ბურთს და შერკინებას. მე-14 წუთზე ნახევარმცველების სწრაფად გათამაშებული ბურთი მოსკოველთა ნახევარზე ი. კიზირიამ მიიღო, მშვენივრად ისარგებლა მეტოქის მცველთა შეცდომით და საკმაოდ შორიდან არეკნით დაარტყა — 3:0.

მეორე ნახევარი ორმხრივი იერიშებით დაიწყო. მოსკოველებმა ლოკომოტიველთა ჩათვლის მოედანზე ბურთის დადებით ანგარიში ჯერ გაათანაბრეს, შემდეგ კი, როცა ა. გრიგორიანცმა რეალიზაცია ზუსტად გამოიყენა, დაწინაურდნენ კიდეც — 5:3.

გატანილმა გოლმა თბილისელები გამოაფხიზლა. ბურთი დიდხანს არ სცილდება მოსკოველთა ნახევარს. 53-ე წუთზე სტუმრები მოედნის ცენტრში დაჯარიმდნენ. თენგიზ რუხაძემ უძლიერესი, ზუსტი დარტყმით ბურთი კარის ძელებს შორის გააძვრინა. შეხვედრის მიწურულს, კვლავ საჯარიმო დარტყმით, ი. კიზირიამ თავისი გუნდის წარმატება დააგვირგვინა — 9:5.

შეხვედრის შემდეგ გუნდის მწვრთნელებს ვთხოვეთ აზრი გამოეთქვათ მატჩის შესახებ.

**სპორტის ოსტატი ე. ანტონოვი (მოსკოვი):** სასიამოვნოა, რომ შეხვედრა კორექტულად და სპორტულად საინტერესოდ მიმდინარეობდა. ორივე გუნდმა თამაშის მაღალი კლასი აჩვენა. „ლოკომოტივთან“ წაგება სენსაცია არ არის: ჩვენი შეხვედრები ყოველთვის ერთ-ერთის მინიმალური უპირატესობით მთავრდება. ამჯერადაც ასე მოხდა. გამარჯვებულთაგან მინდა გამოვყო დ. დავითაია, ი. კიზირია, გ. მიქაბერიძე, მ. გეგეშიძე, თ. ჯაფარიძე.

**სპორტის ოსტატი ნ. ყიფიანი („ლოკომოტივი“):** ჩვენი დღევანდელი მოწინააღმდეგე სამართლიანად ატარებს ჩემპიონის ტიტულს. ეს უაღრესად ტექნიკური და ფიზიკურად კარგად მომზადებული გუნდია. მეტოქეს თამაშის მათივე მანერა შევთავაზეთ. ვცდილობდით, რაც შეიძლება გაშლილად გვეთამაშა. მოსკოველი რეგბისტებიდან განსაკუთრებით მომეწონა ე. ანტონოვის, ა. გრიგორიანცის, ა. გრაჩოვის თამაში. ჩვენი ბიჭებიდან ყველამ მონდომებით ითამაშა.

რ. აიწურაძე.
(ჩვენი სპეც. კორ.).
რუსთავი.

• • •

ს უ რ ა თ ზ ე: შეხვედრის ერთ-ერთი მომენტი. ბურთი აქვს გ. მიქაბერიძეს.

მ. ზარგარიანის ფოტო.
(ჩვენი სპეც. კორ.).

## „ტყავის ბურთის“ პრიზზე

მახარაძეში დამთავრდა ნორჩ ფეხბურთელთა შეჯიბრება „ტყავის ბურთის“ პრიზზე.

უმცროსი ასაკის ჭაბუკთა გადამწყვეტ მატჩში ერთმანეთს შეხვდნენ „გაზაფხული“ (1905 წლის ქუჩა) და „მერცხალი“ (ლენინგრადის ქუჩა). წარმატება წილად ხვდა „გაზაფხულს“.

უფროს ასაკში შემოქმედელმა ფეხბურთელებმა ფინალში მოუგეს ასკანის გუნდს.

შეჯიბრებამ გამოავლინა ნიჭიერი ნორჩი ფეხბურთელები მ. მეგრელიძე, ს. კიშინსკი, ი. ხომერიკი, ვ. გაბრიელიანი, ნ. გუჯაბიძე, დ. დუმბაძე, გ. შუშელიძე, გ. გიორგაძე, ვ. თოხაძე, გ. დოლიძე და სხვ.

შ. კილურაძე.

მახარაძე.



• •

## გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 28 აპრილისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| ცსკა | 7 | 5 | 1 | 1 | 14—1 | 11 |
| „დინამო“ (თბილისი) | 8 | 4 | 3 | 1 | 12—6 | 11 |
| „დინამო“ (კიევი) | 7 | 5 | 1 | 1 | 8—4 | 11 |
| „დინამო“ (მოსკოვი) | 6 | 4 | 2 | 0 | 12—0 | 10 |
| ასკ (დონის როსტოვი) | 7 | 4 | 2 | 1 | 8—4 | 10 |
| „ნეფთჩი“ (ბაქო) | 7 | 2 | 5 | 0 | 7—2 | 9 |
| „ზარია“ (ვოროშილოვგრადი) | 8 | 3 | 3 | 2 | 5—8 | 9 |
| „არარატი“ (ერევანი) | 7 | 3 | 2 | 2 | 5—4 | 8 |
| „ტორპედო“ (ქუთაისი) | 8 | 2 | 4 | 2 | 5—5 | 8 |
| „სპარტაკი“ (მოსკოვი) | 8 | 1 | 5 | 2 | 10—10 | 7 |
| „ტორპედო“ (მოსკოვი) | 8 | 2 | 3 | 3 | 8—10 | 7 |
| „ჩერნომორეცი“ (ოდესა) | 7 | 2 | 2 | 3 | 5—6 | 6 |
| „პახთაქორი“ (ტაშკენტი) | 8 | 1 | 3 | 4 | 6—18 | 5 |
| „დინამო“ (მინსკი) | 7 | 1 | 2 | 4 | 4—6 | 4 |
| „ზენიტი“ (ლენინგრადი) | 7 | 1 | 2 | 4 | 5—11 | 4 |
| „შახტიორი“ (დონეცკი) | 7 | 0 | 3 | 4 | 4—11 | 3 |
| „სპარტაკი“ (ორჯონიკიძე) | 7 | 0 | 1 | 6 | 4—16 | 1 |

## მეხანძრეთა სტარტები

ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავს მიეძღვნა შეჯიბრება სახანძრო-გამოყენებით სპორტში. ტურნირში მონაწილეობდნენ სოხუმის, ტყვარჩელისა და აფხაზეთის რაიონების სპორტსმენები.

4×100 მეტრზე ესტაფეტაში გაიმარჯვა გაგრის რაიონის ნაკრებმა, დაბრკოლებათა 100-მეტრიანი ზოლის გადალახვაში — სოხუმის ნაკრებმა. მისმა წევრებმა მოიგეს სასწავლო კოშკის მეოთხე სართულის ფანჯარაში ასვლა.

განსაკუთრებით საინტერესო გამოდგა პირადი ტურნირი. საუკეთესო შედეგები აჩვენეს: აფხაზეთის ასსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს სახანძრო დაცვის განყოფილების უფროსმა ინსპექტორმა ჯ. ლომიძემ, გაგრის რაიონის სახანძრო ნაწილის უფროსმა მეხანძრემ ს. კალაიჯიანმა და სოხუმის მე-3 სახანძრო რაზმის ყარაულის უფროსმა დ. სკაპეცკიმ.

ვ. ქობალია.

სოხუმი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

### სსრ კავშირის ჩემპიონატი წყალბურთში

## გამოუყენებელი შესაძლებლობანი

თბილისი. საქართველოს ფიზკულტურის კომიტეტის საცურაო აუზი. 25 აპრილი.

სამხედრო-საზღვაო ფლოტის ცენტრალური საწყლოსნო სპორტკლუბი — „დინამო" (თბილისი) 6:1 (1:0, 2:0, 1:0, 2:1).

**სამხედრო-საზღვაო ფლოტის ცენტრალური საწყლოსნო სპორტკლუბი:** გულიაევი, ფიოდოროვი, ტროიცკი, ა. აკიმოვი, ვ. აკიმოვი, ზელენცოვი, შიდლოვსკი, დოლგუშინი, დოდნიკი.

**„დინამო":** გულედანი, კურტანიძე, სანაძე, თორთლაძე, წიკლაური, მიმინოშვილი, ისელიძე, ოჩიგავა, დადივაძე, უშანგიშვილი.

მსაჯი ი. ტომოვი (კიევი).

შეხვედრა ცოტა უცნაურად წარიმართა. პირველივე წუთზე დინამოელებს გოლის გატანის შესაძლებლობა მიეცათ — აუზიდან გააძევეს ერთ-ერთი მოსკოველი მოთამაშე. მაგრამ, იმის მაგიერ, რომ გამოეყენებინათ ეს ხელსაყრელი მომენტი, დინამოელებმა კარის სიახლოვეს ბურთი დაკარგეს და თბილისელთა რიცხობრივი უპირატესობით მოსკოველებმა უკეთ ისარგებლეს: ფიოდოროვმა ანგარიში გახსნა. ეს ამბავი მეორე პერიოდშიც განმეორდა და თბილისელებმა ამჯერადაც უხეიროდ ითამაშეს. უფრო მეტიც, ისელიძემ ვერ გამოიყენა 4-მეტრიანი საჯარიმო. ვერც „დინამოს" მეკარემ ითამაშა როგორც საჭიროა, და მოსკოველები დაწინაურდნენ — 3:0.

სტუმრებს მატჩის სადავე უკვე ხელთ ჰქონდათ და გამარჯვება აღარც გაჭირვებიათ. ამაში მეზღვაურებს ჩვენი წყალბურთელებიც „დაეხმარნენ": 3 გაშვებული ბურთის შემდეგ ისინი ნაკლებად მოძრაობდნენ, მიუტევებელ შეცდომებს უშვებდნენ მეტოქის კარის იერიშისას (მაგალითად, სანაძემ კარგი პოზიციიდან ზედიზედ ორჯერ მიაწოდა ბურთი მეკარე გულიაევს პირდაპირ ხელებში). ამ დღეს სტუმრებს ყველა ჩანაფიქრი გამოსდიოდათ, დინამოელებს კი პირიქით. მართალია, ჩვენი გუნდის მეტოქე ერთ-ერთი უძლიერესი კოლექტივი და სსრ კავშირის მრავალგზის ჩემპიონია, მაგრამ თბილისელებს ასეთი ანგარიშით მაინც არ უნდა წაეგოთ.

* * *

ამ დღეს მოსკოვის უნივერსიტეტის წყალბურთელებმა ვერ გატეხეს კიევის დინამოელთა წინააღმდეგობა — 4:4.

## გამარჯვება ძლიერ მეტოქესთან

26 აპრილი.

„დინამო" (თბილისი) — „ბალტიკა" (ლენინგრადი) 5:4 (2:2, 1:0, 0:2, 2:0).

**„დინამო":** გულედანი, კურტანიძე, სანაძე, წიკლაური, მიმინოშვილი, ისელიძე, ოჩიგავა, დადივაძე, უშანგიშვილი.

**„ბალტიკა":** ერიომინი, პასელცარი, პოკრიშევი, ბუხანოვი, სოკოლოვი, სტრიუევსკი, გელერმანი, ბურიხინი.

მსაჯი ვ. რაშმაჯანი (მოსკოვი).

ამ მატჩის დასაწყისი ძალიან ჰგავდა წინადღის შეხვედრის პროლოგს. პირველივე წუთზე ლენინგრადელები დაზარალდნენ — მათი ერთ-ერთი წყალბურთელი მსაჯმა აუზიდან გააძევა. მაგრამ ამჯერადაც ისე მოხდა, როგორც წინა შეხვედრის დროს: „ბალტიკამ" ანგარიში გახსნა — 1:0 (სოკოლოვი). ამ გოლმა კარგი სამსახური გაუწია დინამოელებს: ისინი მთელი ძალით ამოქმედდნენ. მეტოქის კართან ძალიან აქტიურობდა კურტანიძე. სწორედ მისი წყალობით დაინიშნა „ბალტიკის" კარში 4-მეტრიანი, რომელიც ზუსტად ტყორცნა ისელიძემ. ამას მოჰყვა თვით კურტანიძის ძლიერი ბურთი და დინამოელები დაწინაურდნენ — 2:1. პირველი პერიოდის დამთავრებას ცოტა უკლდა, რომ პოკრიშევმა წონასწორობა აღადგინა.

მეორე პერიოდში მეტოქეები ბევრს უტევდნენ, მაგრამ წარმატება მარტო თბილისელებს ხვდათ — უშანგიშვილის ძლიერად ნატყორცნი ბურთი მიზანს მოხვდა — 3:2.

მესამე პერიოდის პირველივე წუთებზე დინამოელებს კიდევ უფრო დაწინაურების საშუალება მიეცათ — მსაჯმა „ბალტიკის" კარში 4-მეტრიანი საჯარიმო დანიშნა, მაგრამ ისელიძემ ეს მომენტი ვერ გამოიყენა. სამაგიეროდ, ლენინგრადელებმა შეძლეს ანგარიშის გათანაბრება — 3:3. ცოტა ხნის შემდეგ გელერმანმა დააწინაურა თავისი გუნდი: მან ზუსტად გამოიყენა 4-მეტრიანი საჯარიმო.

თბილისელებმა მარცხის საშიშროება იგრძნეს და მედგრად შეუტიეს მეტოქეს. კვლავ თავი გამოიჩინა კურტანიძემ: მეტოქის კარის აღების ცდისას მას უხეშად ეთამაშნენ და მსაჯმა 4-მეტრიანი საჯარიმო დანიშნა. ისელიძის ნატყორცნი ამჯერად ზუსტი გამოდგა — 4:4. შეტევაზე კვლავ თბილისელები გადავიდნენ. იგივე განმეორდა, რაც წინა ბურთის გატანის დროს, და ისელიძის 4-მეტრიანმა მიზანს მიაღწია.

* * *

რაც დრო გადის, მით უფრო იმაღლებს ოსტატობას ალმა-ათის „დინამო". ამ დღეს მისი მეტოქე სამხედრო-საზღვაო ფლოტის ცენტრალური საწყლოსნო სპორტკლუბი იყო. დინამოელებმა კარგად ითამაშეს, მაგრამ მაინც დამარცხდნენ — 4:5.

ვერ იქნა და ვერ იგემეს გამარჯვების სიტკბო მოსკოვის ოლქის რკინიგზელებმა. ისინი კვლავ დამარცხდნენ (3:4), ამჯერად — კიეველ დინამოელებთან.

ბაქოელებმა შეუპოვარი მეტოქეობა გაუწიეს სსრ კავშირის ჩემპიონს — მოსკოვის „დინამოს", მაგრამ ჩემპიონთა ხუთ ბურთს ბაქოელებმა მხოლოდ 4 გოლით უპასუხეს.

საინტერესო ამბავი მოხდა მოსკოვის უნივერსიტეტისა და „ტორპედოს" გუნდების შეხვედრის დროს. ყველასთვის მოულოდნელად, პირველივე წუთებზე ავტოქარხნელები 3 ბურთით დაწინაურდნენ, მაგრამ უპირატესობის შენარჩუნება ვერ შეძლეს და საბოლოოდ ფრეს დასჯერდნენ — 5:5.

ზ. ჯაფარიძე.

### გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 27 აპრილისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| სამხედრო-საზღვაო ფლოტის ცენტრ. საწყ. სპორტკლუბი | 7 | 7 | 0 | 0 | 38—16 | 14 |
| „დინამო" (მოსკოვი) | 7 | 7 | 0 | 0 | 32—14 | 14 |
| უნივერსიტეტი (მოსკოვი) | 7 | 4 | 2 | 1 | 38—29 | 10 |
| „ბალტიკა" (ლენინგრადი) | 7 | 4 | 0 | 3 | 28—24 | 8 |
| „დინამო" (ალმა-ათა) | 7 | 3 | 1 | 3 | 31—30 | 7 |
| „დინამო" (თბილისი) | 7 | 3 | 0 | 4 | 24—32 | 6 |
| „დინამო" (კიევი) | 7 | 1 | 2 | 4 | 17—24 | 4 |
| „ტორპედო" (მოსკოვი) | 7 | 1 | 2 | 4 | 24—34 | 4 |
| წკფ (ბაქო) | 7 | 0 | 2 | 5 | 23—33 | 2 |
| „ლოკომოტივი" (მოსკ. ოლქი) | 7 | 0 | 1 | 6 | 18—37 | 1 |

## რევანში ჯერ ვერ შედგა

ლეიდენში (ჰოლანდია) ოთხი დიდოსტატის — ბ. სპასკის, მ. ბოტვინიკის (ორივე — სსრ კავშირი), ბ. ლარსენისა (დანია) და ი. დონერის (ჰოლანდია) ოთხწრიან მატჩ-ტურნირში IV ტურით დაიწყო მეორე წრის შეხვედრები.

V ტურში დიდი ინტერესი გამოიწვია ლარსენ — ბოტვინიკის პარტიამ. პირველ წრეში ბოტვინიკი მოსაგებ პოზიციაში უხეშად შეცდა და დამარცხდა. ახლა მას რევანში სწყუროდა, მაგრამ ხუთსაათიანი ბრძოლა დაუმთავრებელი დარჩა. პარტია რთულ მდგომარეობაში გადაიდო.

სპასკიმ დონერთან პარტია ყაიმით დაამთავრა და კვლავ ერთპიროვნულად ლიდერობს. მას 3 ქულა აქვს, დონერს — 2,5 ქულა, ლარსენს — 2 (1), ბოტვინიკს — 1,5 (1).

# კრივი რაინდთა სპორტია

სპორტის ყველა სახეობას, მათ შორის, კრივსაც თავისი ტრადიციები აქვს. მაგრამ ტრადიციებს მარტო შენარჩუნება კი არა, განმტკიცება და განვითარებაც სჭირდება. თუ ერთხელ მოპოვებული პოზიციები დაიკარგა, დაქვეითების პროცესიც იწყება. რა იწვევს ამ მარცხს? ამის მიზეზებს სპეციალისტები და სპორტსმენები იკვლევენ. ჩვენი მიზანი კი სულ სხვაა. დღეს გვინდა იუნიორ მოკრივეთა შეჯიბრების მიხედვით, რომელიც ამას წინათ ბათუმში გაიმართა, მოკლედ შევაფასოთ ჭაბუკთა კრივის დღევანდელი მდგომარეობა საქართველოში.

ვიდრე უშუალოდ შეჯიბრების მსვლელობას გაგაცნობდეთ, ორიოდე სიტყვა იმაზე, თუ რა წარმატებები ჰქონდათ წარსულში ქართველ მოკრივეებს. ვერ ვიტყვით, თითქოს ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლები მუდამ წამყვან როლს თამაშობდნენ საბჭოთა კრივის განვითარებაში, მაგრამ ერთი კი ცხადია: წინა წლებში ქართულმა კრივმა ბევრი ჩინებული ოსტატი გამოზარდა.

მაგრამ შემდეგ წარმატებებმა თანდათან იკლო. მალე ჩვენმა მოკრივეებმა აუტსაიდერთა რიგებში გადაინაცვლეს.

რესპუბლიკის სპორტული საზოგადოებრიობა შეშფოთებით ადევნებდა თვალს ამ პროცესს, მაგრამ მისი შეჩერება, სამწუხაროდ, ვერავინ შეძლო. დაიხარჯა უამრავი მელანი და ქაღალდი, გამოჩნდა ბევრი თეორეტიკოსი, მაგრამ საქმეს მარტო ეს ვერ უშველიდა. საჭირო იყო პრაქტიკული მოქმედება, წვრთნისა და შეჯიბრებების გაუმჯობესება, კვალიფიციურ მწვრთნელთა მიზიდვა, ახალ-ახალი ტალანტების გამოძებნა, მოკრივეთა სათანადო ბაზებითა და ინვენტარით უზრუნველყოფა, მუშაობის გაცხოველება რესპუბლიკის ქალაქებსა და რაიონებში. აქედან ბევრი რამ განუხორციელებელი დარჩა. ყოველივე ამას კი, რბილად რომ ვთქვათ, არ შეეძლო უარყოფითად არ ემოქმედა ქართული კრივის განვითარებაზე.

განსაკუთრებით თავმინებებული იყო მუშაობა ჭაბუკ სპორტსმენებთან — ეროვნული კრივის იმედთან და მომავალთან. ვეტერანებს სულ უფრო და უფრო უჭირდათ რესპუბლიკის ღირსების დაცვა, მათი შემცვლელი თაობის გამოზრდაზე კი ნაკლებად ფიქრობდნენ. საბედნიეროდ, ამ მტკივნეული საკითხის გადაწყვეტისთვის ზრუნვა ამ ბოლო დროს, როგორც იქნა, დაიწყო. მომავალი თაობის აღზრდა კრივში კარგად ჩახედულ, გამოცდილ მწვრთნელებს დაავალეს. ეს არ შეიძლება არ დატყობოდა მოზარდთა კრივის აღორძინებას: ნიმუშად გამოგვადგება ბათუმში გამართული იუნიორთა რესპუბლიკური ჩემპიონატი.

დავიწყოთ იმით, რომ საასპარეზოდ თავიანთი „დელეგატები" გამოგზავნეს თბილისის, სოხუმის, ცხინვალის, ფოთის, ბათუმისა და ქუთაისის მოკრივეებმა. წინასწარ უნდა ითქვას, რომ ამ გუნდებში ბევრი იმედის მომცემი, პერსპექტიული ჭაბუკი აღმოჩნდა. მაგრამ განსაკუთრებით სასიხარულოა ის გარემოება, რომ შეჯიბრების ფავორიტებს — თბილისელ მოკრივეებს ტოლს არ უდებდნენ სხვა ქალაქების წარმომადგენლები. ბათუმში სუფევდა ჭეშმარიტად ჯანსაღი სპორტული კონკურენციის ატმოსფერო, რომელსაც ქმნიდა მეტოქეთა საკმაოდ მაღალი ტექნიკურ-ტაქტიკური არსენალი, კარგი ფიზიკური მომზადება და გამარჯვებისკენ სწრაფვა.

შევჩერდეთ თუნდაც თბილისელების ვ. ჩაჩანიძისა და დ. კვაჭაძის ორთაბრძოლაზე. ამ შეხვედრით მოიხიბლნენ არა მარტო მაყურებლები (სხვათა შორის, სამი დღის მანძილზე მენავეთობეთა კულტურის სასახლეში შეჯიბრებას კრივის უამრავი თაყვანისმცემელი ესწრებოდა), არამედ სპეციალისტებიც. ამ სპორტსმენებმა ეს მაღალი შეფასება უდავოდ დაიმსახურეს თავიანთი ტექნიკური, გააზრებული და დინამიკური ბრძოლის მანერით.

აქ იყო თანამედროვე კრივისთვის დამახასიათებელი ყველა კომპონენტი: საინტერესო ტაქტიკური ჩანაფიქრი, ტექნიკური ხერხების მრავალფეროვნება, სიმსუბუქე და ჯენტლმენური სულისკვეთება.

ასეთივე კარგი შთაბეჭდილება დატოვა ქუთაისელი ჯ. ჟორჟოლიანისა და თბილისელი ტ. შამოევის შეხვედრამ. სამივე რაუნდმა მაღალ დონეზე ჩაიარა. იგრძნობოდა, რომ მეტოქეები კარგად იყვნენ მომზადებული შეჯიბრებისთვის. განსაკუთრებით ქების ღირსია ქუთაისელი მოკრივე. მან ოსტატურად მოახვია თავს მეტოქეს ბრძოლის საკუთარი მანერა, გამუდმებით უტევდა, მაგრამ საჭიროების შემთხვევაში მოხერხებულად იცავდა თავს. შეტევისა და დაცვის ამგვარმა ჰარმონიულმა შეთანხმებამ მას დამსახურებული გამარჯვება მოუტანა.

ასეთი ორთაბრძოლა ბევრი იყო ჩემპიონატში, რომელშიც რამდენიმე ნიჭიერმა სპორტსმენმა გამოიჩინა თავი. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსნი არიან ო. ტიტვინიძე, გ. რევაზოვი (ორივე — თბილისი), დ. ჭურღულია (სოხუმი), ზ. ოშაყმაშვილი, მ. მირზოიანი (ორივე — თბილისი), გ. ზაპუნიანი (სოხუმი). მათგან ცალკე უნდა გამოვყოთ რევაზოვი, რომელმაც ყველა შეხვედრა აშკარა უპირატესობით მოიგო და სამართლიანად დაიმსახურა საუკეთესო ტექნიკურ-ტაქტიკური ბრძოლისთვის დაწესებული პრიზი. რევაზოვს ყველა მონაცემი აქვს საიმისოდ, რომ მომავალში პირველხარისხოვანი მოკრივე დადგეს — საუკეთესო ფიზიკური მომზადება, მანძილის კარგად განვითარებული გრძნობა, ზუსტი და ძლიერი დარტყმა.

ასევე გამოირჩეოდა თანატოლთა შორის სოხუმელი ჭურღულია. გამარჯვებისკენ მიმავალი გზა მისთვის არ იყო ისე იოლი, როგორც რევაზოვისთვის, მაგრამ ჭურღულიას ბრძოლის მანერამ საერთო მოწონება დაიმსახურა. ვფიქრობთ, თუ სოხუმელი მეტ ყურადღებას დაუთმობს ტექნიკის სრულყოფას, მისი სახით რესპუბლიკა კიდევ ერთ ნიჭიერ მოკრივეს მიიღებს.

ჩემპიონატის ფინალში იყო ბრძოლა, რომელმაც ერთდროულად განსხვავებული ემოციები გამოიწვია. მხედველობაში გვაქვს ა. ზაქარიაძისა (ბათუმი) და კვაჭაძის შეხვედრა. ორივე მეტოქემ მაყურებელს საკმაოდ დახვეწილი ოსტატობა უჩვენა. ძალები იმდენად თანაბარი აღმოჩნდა, რომ მსაჯებს გაუჭირდათ რომელიმესთვის გამარჯვების მიკუთვნება. თანაც, ამ შეხვედრას პრინციპული მნიშვნელობაც ჰქონდა: მოგებული ჩემპიონი ხდებოდა. ბთლოს მსაჯებმა გამარჯვებულად კვაჭაძე გამოაცხადეს.

სწორედ ამ დროს მოხდა ის უსიამოვნო ინციდენტი, რამაც ჩრდილი მიაყენა ბრძოლას. ზაქარიაძემ საუკეთესოდ ჩაატარა ჩემპიონატის ყველა შეხვედრა, მათ შორის, ფინალური ასპარეზობაც, მაგრამ მსაჯთა გადაწყვეტილებით განაწყენებულმა არასპორტული საქციელი ჩაიდინა. რასაკვირველია, მსგავსი შემთხვევები დაუშვებელია კრივში, მით უმეტეს, მოზარდთა პაექრობაში. კრივი თავისი ბუნებით სპორტის ვაჟკაცური, რაინდული სახეობაა, რომელსაც უყვარს მხოლოდ კორექტული, მაღალი მორალური თვისებებით აღჭურვილი სპორტსმენები.

ორიოდე სიტყვა შეჯიბრების ორგანიზაციულ მხარეზე. კარგა ხანია ასე ჩინებულად მოწყობილი ასპარეზობა არ გვინახავს. შეჯიბრების მონაწილეებს მასპინძლებმა საუკეთესო პირობები შეუქმნეს. ამაში დიდი დამსახურება მიუძღვით ბათუმის სპორტულ ორგანიზაციებსა და შეჯიბრების მთავარ მსაჯს, სპორტის დამსახურებულ ოსტატს გ. ვართანოვს.

ა. გოგელია.
(ჩვენი სპეც. კორ.).

ბათუმი.

* * *

მოგვყავს I-II ადგილებზე გასული სპორტსმენები:

**48 კგ.** 1. მ. მიქოიანი (თბილისი), 2. გ. ზაპუნიანი (სოხუმი); **51 კგ.** 1. ო. ტიტვინიძე (თბილისი), 2. გ. მელქონიანი (ბათუმი); **54 კგ.** 1. ტ. სუკნასიანი (თბილისი), 2. ვ. ბობოშკო (ბათუმი); **57 კგ.** 1. მ. მირზოიანი, 2. ი. ზაოსტროვსკი (ორივე — თბილისი); **60 კგ.** 1. ჯ. ჟორჟოლიანი (ქუთაისი); 2. ტ. შამოევი (თბილისი); **68 კგ.** 1. გ. რევაზოვი, 2. ნ. ვასილჩენკო (ორივე — თბილისი); **71 კგ.** 1. ზ. ოშაყმაშვილი, 2. ი. საბაძე (ორივე — თბილისი); **75 კგ.** 1. დ. კვაჭაძე (თბილისი), 2. ა. ზაქარიაძე (ბათუმი); **81 კგ.** 1. დ. ჭურღულია (სოხუმი), 2. ზ. ჭელიძე (თბილისი). **81 კგ და ზევით.** 1. ვ. კუძიევი (ცხინვალი), 2. ი. თედელური (თბილისი).

**გუნდური.** 1. თბილისი-I, 2. ბათუმი, 3. თბილისი-II.



## 4 ეტაპის 90 კილომეტრი

ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავს მიეძღვნა ქუთაისელ მძლეოსანთა ესტაფეტა, რომლის ინიციატორები იყვნენ საქართველოს ალკკ ქუთაისის საქალაქო კომიტეტი და „განთიადის" საქალაქო საბჭო.

90-კილომეტრიანი ესტაფეტის მარშრუტი: ქუთაისი — წულუკიძე — სამტრედია — ქუთაისი ოთხ ეტაპად იყო დაყოფილი. ბრძოლაში ჩაებნენ სპორტის ოსტატი ო. აბესაძე, პირველთანრიგოსნები ი. პერანიძე, კ. ქუთათელაძე და დ. ჭუმბურიძე.

ქალაქის ცენტრალურ მოედანზე სტარტი აიღო ქუთათელაძემ. მან 30 კილომეტრზე მეტი წულუკიძემდე ორ საათზე ნაკლებ დროში დაფარა. წულუკიძიდან სამტრედიამდე მას აბესაძე და ჭუმბურიძე შეენაცვლნენ. სამტრედიიდან ქუთაისისკენ გზა პერანიძემ განაგრძო.

90 კილომეტრის გარბენას მძლეოსნებმა 6 საათზე ნაკლები მოანდომეს.

(ჩვენი კორ.).

ქუთაისი.

* * *

**ს უ რ ა თ ზ ე:** ესტაფეტის მონაწილენი (მარცხნიდან) — ქუთათელაძე, პერანიძე, აბესაძე და ჭუმბურიძე.

ო. ბერეჩიკიძის ფოტო.

**რედაქტორი მ. კაკაბაძე**

„კოლმეურნის" ცენტრალური საბჭო იუწყება საქართველოს სსრ ფიზკულტურისა და სპორტის დამსახურებული მოღვაწის, სპორტის დამსახურებული ოსტატის

**ისაკ დიმიტრის ძე კიზირიას**

გარდაცვალებას.

**„ლოკომოტივის" სტადიონი**
(ი. ჭავჭავაძის პრ. № 74)




**დ ღ ე ს**

ფინალური შეხვედრა „ბ" კლასის ოსტატთა გუნდებს შორის სპორტის დამსახურებული ოსტატის შ. შავგულიძის სახელობის თასზე: „გურია" (ლანჩხუთი) — „მეშახტე" (ტყიბული).

დასაწყისი 18 ს.

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა, ლენინის ქ. № 14.

უე 04248